


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 10 მარტი, 3 1896 წ. № 10

**შინაარსი:** შარლოტა კორდე—დ.ისა.—კიდევ ორიოდ სიტყვა ქალთა მომავალ სკოლის შესახებ.—სხვა-და-სხვა ამბები.—საყურადღებო ამბები.—ნუ ცერი ჩონთო, ლექსი კორჩოხასი.—ყოვლად სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსის გასვენების წეს-რიგი.—პასუხის პასუხი, აკაკისა.—მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება, ნ. ჟორდანიასი.—ძველი ლონე არ არის (ეტიუდი), ანასტ. ერისთვისა.—მგზავრის შენიშვნები (გაგრძელება), ხომლელისა.—ცირაჟი.—

## შარლოტა კორდე.

(1768—1793)

ვინც ცოტათ მაინც იცის საფრანგეთის დიდი რევოლიუციის ისტორია, იმას, უეჭველია, გაგონილი ექნება შარლოტა კორდეს სახელიც, სახელი იმ ახალგაზდა ქალისა, რომელმაც მოჰკლა ერთი უპირველესი რევოლიუციის მოღვაწეთაგანი, მარატი. ამ საოცარ მორევში, რომელსაც რევოლიუციას უწოდებენ, საშინელი არევ-დარევით მოქმედებდენ და იბრძოდენ სხვა-და-სხვა საზოგადოებრივი და პირადი ძალნი; უკიდურესი პატივმოყვარეობა და კლდესავით გაუტეხარი ეგოიზმი ზედ ასკდებოდა ფანატიკოსობამდე მიღწეულ გულწრფელ თავგანწირულებას. გუშინ სრულიად უცნობი, დღეს გმირობას იჩენს და გმირის სახელით იმოსება; ხვალ კი ეს გმირი, ეს კერპი ხალხისა, ბრბოსაგან გამეფებული, მისგანვე მიწასთან გასწორებული და უარყოფილი, ფერ მიხდილი ძრწოლით მიდის ეშაფოტზე და თან მისდევს ცინიკური ხარხარით ულმობელი ბრბო. ამ გრძნობათა აზვირთებულმა ზღვამ ბევრი სახელი ჰყო უკვდავი, ბევრი ღირსეული, მაგრამ ბევრი



შარლოტა კორდე.

... საჯარო ბიბლიოთეკა

ულირსიც ჩაწერა ისტორიაში. ბევრი უბრალო შეიწირა ადამიანის უგუნურებამ, ბევრი უდანაშაულო იმსხვერპლა გამძვინვარებულმა ხროვამ, რომლის ბელადნი ითვლებულნი იყვნენ მისი ძლიერებისათვის შეეფარებიათ თავი, თუ კი ლელოს გატანა უნდოდათ, მიუხედავათ იმისა, პირადი ანგარება ამოქმედებდა მათ, თუ საზოგადო ინტერესი. დიდებულმა დევიზმა რევოლიუციისამ წუთიერი გამეფებისათვის გილიოტინა შექმნა მხოლოთ მისთვის, რომ იმავე გილიოტინის ცულქვეშ მორჩილათ დაელია სული.

შარლოტა კორდემ მართალია მოჰკლა მარატი, ეს „ხალხის მეგობარი", როგორც მას უწოდებდენ, მაგრამ მოჰკლა მიტომ, რომ უნდოდა უფრო მეტი მეგობრობა გაეწია, თუ გამოეჩინა. ვინ იცის, მართლა ხალხისთვის კი გასწირა შარლოტა კორდემ თავი, თუ იგი მხოლოთ მსხვერპლი იყო სახელის მოყვარეობის ეგზალტაციისა. ზოგიერთ ისტორიკოსს სწამს მისი გულწრფელობა და იმ აზრს ადგას, რომ მხოლოთ ღრმა სიყვარულმა ხალხისამ აალებინა შარლოტა კორდეს ხელში მახვილიო.

11 ივლისს 1793 წ. შარლოტა კორდემ დატოვა პროვინცია, საიდანაც იგი გაემგზავრა ვითომ ინგლისში წასასვლელათ და მოვიდა პარისში. მარატი იმ დროს ხალხისაგან გაღმერთებული Ecole de Médecine-ის ქუჩაზე ცხოვრებდა და, თუმცა იმდენათ ავათ იყო, რომ გარეთ ვერ გამოდიოდა, მაგრამ მაინც არ ისვენებდა და კალამს ხელიდან არ აგდებდა. იგი ღარიბულათ ცხოვრებდა, ისე ღარიბათ, რომ, როდესაც მოკლეს, მის სახლში მხოლოთ ოცდა ხუთი სუ აღმოჩნდა.

დილით 13 ივლისს მარატი იკითხა ერთმა ქალმა, რომელიც ბეტათ მორცხვობდა და მშვიდობიანათ გამოიყურებოდა. მეკარემ აუხსნა, რომ „ხალხის მეგობარი" ავათ არის და ვერ გინახულებსო, რის გამოც ყმაწვილმა ქალმა მოკლე წერილი დაუტოვა მარატს. საღამოზე უცნობი ქალი კვლავ მოვიდა. მარატი ამ დროს საბანებელ აუზში იჯდა, გვერდით ედგა პატარა მაგიდა საწერ-კალმით. უცნობი ქალის მიღება არც ახლა უნდოდათ. ხმამაღლა ლაპარაკს მარატმა ყური მოჰკრა და უბძანა შემოეყვანათ. ქალი შევიდა, მაგრამ არ გაუვლია ბევრ ხანს და უცებ საშინელი ყვირილი გაისმა, მიშველეთო. შეცვივდენ ოთახში და დაინახეს სისხლით შეღებილი მარატი, რომელსაც თავს ადგა შარლოტა კორდე. მას მაშინვე დაუჭირეს კარები, რომ არ გაქცეულიყო, და ერთმა იქ მყოფმა სკამი დაარტყა თავში. საბანაო ოთახიდან მარატი გადაიტანეს საწოლში, სადაც მან მალე სული დალია.

ეს ამბავი ელვასავით მოედო მთელ პარისს და გამოუთქმელი შთაბეჭდილება მოახდინა. „ხალხის მეგობარი" მოჰკლეს, მოჰკლეს „ხალხის მეგობარი"! მხოლოთ ამას იმეორებდა ყველა. მარატის სახლს უთვალავი ხალხი მოაწყდა. თვითოეულის სახეზე იხატებოდა მწუხარება, შურისძიება, სიბრაზე. ხალხი დამნაშავის თავს თხოულობდა. აი, გამოიყვანეს შარლოტა კორდე, მაგრამ შეატყეს რა მას სურვილი გამძვინვარებული ხალხის ხელში ჩავარდნისა, მაშინვე ისევ სახლში შეიყვანეს, ვიდრე პოლიციის კომისარი მოვიდოდა.

გამოძიების დროს შარლოტა კორდე ძალიან დამშვიდებული იყო და კითხვებზე გულგრილათ უპასუხებდა: მე პარისში ამის მეტათ არა ვყოფილვარო, მარატი იმიტომ მოვკალი, რომ ვხედავდი შინაურ ომს ძმათა შორის და მეშინოდა, რომ იგი მარატის წყალობით მთელ საფრანგეთს არ მოსდებოდაო. ამხანაგი ამ განზრახვაში არავინა მყოლიაო, და სხ...

როდესაც შარლოტა კორდე გაჩხრიკეს, მას გარდა დანის ქარქაშისა უპოვეს მეორე წერილი მარატთან, ოქროს საათი და ორი ქაღალდი, რომელთ შორის ერთი ნათლობის მოწმობა გამოდგა. ეს უკანასკნელი გარემოება ცოტა ეჭვსა ჰბადებს სახელის მოხვეჭის უანგარობის შესახებ და ამტკიცებს, რომ შარლოტა კორდეს სრულიადაც არა სურდა, რომ მისი სახელი უცნობი დარჩენილიყო.

გამოძიებას შემდეგ შარლოტა კორდე საპატიმროში წაიყვანეს, სადაც იგი სრულიად აუღელვებლათ ამბობდა თავის დანაშაულის შესახებ: „მე ჩემი შევასრულე, სხვები დააბოლოვებენო".

საპყრობილედან შარლოტა კორდე წერილს სწერს თვის მამას და ბოდიშს იხდის მასთან. იგი სრულიად არა წუხს თვის საქციელზე. მამას ატყობინებს, ფორმის გულისთვის დამცველი ავირჩიე, თუმცა ჩემი დანაშაული ისეთია, რომ დაცვა შეუძლებელიაო. წერილს ასე ათავებს: „მშვიდობით! გთხოვ დამივიწყოთ, ან—და უკეთ, გაიხარეთ ჩემი ხვედრით,—იგი ასე შვენიერია. ნუ დაივიწყებთ კორნელის სიტყვებს:

Le crime fait la honte et non pas l'echafaud.

(სირცხვილი და არა სახრჩობელაა.). დანაშაულობა ხვალ რვა საათზე მე გამასამართლებენ".

მეორე დღეს 17 ივლისს შარლოტა კორდე წარსდგა რევოლიუციონერ სამსჯავროს წინაშე. შოვო დელგარდი, რომელიც იცავდა შარლოტა კორდეს, ასე აგვიწერს მას: „ეს იყო კარგი შედგმული ქალი. მხრებამდე ურიგოთ ეყარა გრძელი თმა; თვალებს უჩრდილავდა გრძელი წამწამები; მოგრძო სახე, რომელშიაც გამოჰკრთოდა დიდებული სული, და მისი ყმაწვილური ხმა ჰარმონიულათ იყო შეხამებული მის უბრალო ქცევასთან.

—რამ გაფიქრებიათ მარატის მოკვლა?

—მისმა ავკაცობამ.

—რა გაგიგონიათ მის აგ-კაცობაზე?

—ის უბედურება, რომლის მიზეზი იგი იყო, დაიწყო თუ არ რევოლიუცია.

— ვინ ჩაგაგონათ ეგ განზრახვა?

— არავინ. მე მოვკალი ერთი, რომ გადამერჩინა ასი ათასი. მე ვიყავი რესპუბლიკის მომხრე რევოლიუციამდე.

შესანიშნავია რამოდენიმე პასუხი შარლოტა კორდესი.

— ვინ ჩაგინერგა მარატისადმი ასეთი სიძულვილი?

ჩემთვის საჭირო არ იყო სხვისი სიძულვილი, ჩემიც საკმაო მქონდა.

— მაგრამ მისი მოკვლის სურვილი კი, უეჭველია, სხვამ ჩაგაგონა!

— სხვის ჩაგონებულს ძალიან ცუდათ ასრულებენ.

— რას ელოდი მარატის სიკვდილისაგან? — ჩემი სამშობლოს დამშვიდებას.

— ნუ თუ გგონიათ, რომ თქვენ მოჰკალით ყველა მარატი?

— ეს ხომ მოკვდა და სხვებს შეეშინდებათ, მგონია.

30 ივლისს 1793 წ. საღამოს შვიდ საათზე შარლოტა კორდესთან შემოვიდა ჯალათი და წითელი ტანისამოსი ჩააცვა. ხალხი ჩუმათ მისდევდა სამგლოვიარო ეტლს, საიდანაც შარლოტა კორდე დამშვიდებული იყურებოდა. იგი აიყვანეს მაღლა... ჯალათმა მოჭრილი თავი შარლოტა კორდესი აიღო ხელში, ხალხს დაანახვა და ამასთანავე ისეთი სულის სიმდაბლე გამოიჩინა, რომ მოკვეთილ თავს სილა გაარტყა. ხალხში, თუმცა იგი სისხლს დიდი ხნის შეჩვეული იყო, უსიამოვნობის ხმაურობა გაისმა. შარლოტას სახე ფერმკრთალი იყო, თუმცა თავისი შვენიერება არ დაეკარგა. ჯალათმა ხელმეორეთ აწია იგი საჩვენებლათ, მაგრამ ამ დროს სახეს სიწითლე შეამჩნიეს, თითქო მან თვით სიკვდილს შემდეგაც კი იგრძნო უკადრისი შეურაცყოფა.

სიკვდილს შემდეგ შარლოტა კორდეს ზოგი ამართლებდა, ზოგი ამტყუნებდა. ანდრე შენიემ საუცხოვო ლექსი უძღვნა, რომელშიაც იგი მარატს ნამდვილ ტირანს უწოდებს. დეპუტატმა ადამ ლუქსმა, რომელიც დაესწრო შარლოტა კორდეს სიკვდილს, მთელი წიგნაკი გამოსცა, რომელშიაც სხვათა შორის ამბობს: „თუ სურთ პატივი მცენ თვისი გილიოტინით, რომელიც დღეიდან ჩემ თვალში საკურთხევლათ იქცა, ვთხოვ, იმ ჯალათებმა იმდენივე სილა გაარტყან ჩემ მოკვეთილ თავს, რამდენიც გაარტყეს შარლოტას თავს“. ა. ლუქსმა ბოლოს ის აზრი გამოთქვა, რომ შარლოტა კორდე ღირსია ძეგლისა, რომელსაც უნდა ეწეროს:

Plus grande que Brutus!

(ბრუტუსზე დიდებული).

ამისთვის ადამ ლუქს თავი მოჰკვეთეს. მარატის გვამი კი რამდენმე თვეს შემდეგ ანდრე შენიეს ძმის წინადადების თანხმათ პანთეონში უნდა გადმოეტანათ და მირაბოს ადგილზე დაესაფლავებიათ.

ასეთი იყო მსჯავრი რევოლიუციისა!..

დ.

---

## კიდევ ორიოდე სიტყვა

### ქალთა მომავალი სკოლის შესახებ.

ისე აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია ქალთა სკოლის დაარსება ამ მოკლე ხანში, რომ გული არ გვითმენს ამ საგანზე კიდევ და კიდევ არა ეთქვათ-რა.

უნდა მოველოდეთ, რომ ყველა ქართველი ქალი, ვისაც კი ცოტა ოდნათ შესტკივა გული ჩვენ საქმეებზე და ჯერ არ არი ქართველებისთვის დაკარგული, თითონვე იგრძნობს ამ საქმის დამთავრების საჭიროებას დ̃, არა თუ გამოიღებს თავის წვლილს, არამედ ჩაგონებით, თუ თხოვნით, სადაც კი ხელი გაუწვდება, მოძებნის საშუალებას და მიაწოდებს ქალთა კომიტეტს საქმის დასამთავრებლათ.

სხვა ქვეყნებში ქალების ენერგია ყოველთვის შესანიშნავი ყოფილა და მათ ყოველთვის თავიანთი საქმე თითონვე გაუტანიათ — და არა მგონია, ქართველი ქალები, თუნდა რიცხვით ცოტანი არიან, უკან ამორჩენ სხვებს. ტყუილათ კი არ არი ნათქვამი ძველათ ხალხში: „დედაკაცმა გაიწია და ცხრა უღელმა ხარმა ვერ შეიმაგრაო“...

კარგა ხანია, რაც ყოველ გაზაფხულს ასტეხენ ხოლმე ლაპარაკს ქალთა შკოლის დაარსების საჭიროებაზე. იტყვიან ერთ-ორს და მიჩუმდებიან. ვშიშობთ, რომ წელსაც აგრე არ იყოს. მერე რა ადვილია საქმის უკუგდება, მხოლოთ ოთხი სიტყვაა საჭირო: „შკოლის გასახსნელი ფული არ არი.“ — და გათავდა საქმე — გადიდო სჯა და ლაპარაკი... ბანკის საქმეების მცოდნენი ბძანებენ: წრეულს მოგება არ არი, სათავად-აზნაურო შკოლას არა გადურჩება რაო. ეს ძველათ ძველი სიტყვებია და ყოველ წლივ გვესმის. როდესაც პირველათ ქალების შკოლის დაარსების საჭიროება იგრძნო საზოგადოებამ, იმ წელსაც ამბობდენ, მაგრამ წინამძღვარიანთ კარის შკოლისთვის იშოვეს საშუალება და დაუნიშნეს ყოველ წლივ ხუთი ათასი მანეთი.

იმ წელსაც ამბობდენ არ არი ფულიო, როდესაც ხოლერის მოსასპობლათ ბანკმა იშოვა თორმეტი ათასი მანეთი.

იმ წელსაც ამბობდენ არ არი ფულიო, როდე-

საც კახეთის რკინის გზისთვის გადიდო თხუთმეტი ათასი მანეთი.

იმ წელსაც კიდევ ამბობდენ არ არი ფულიო, როდესაც საცხენისის შკოლისთვის დასჭირდათ ფულის გადადება... მაშ როგორ ვერწმუნოთ ამ პირებს? ესენი კიდევ იმასაც ამბობენ, რომ ქალების მომავალ შკოლაში და პანსიონში შემოსავალი სახსენებელი არ იქნება, რადგან თავად-აზნაურთა შვილები ან მუქთათ, ან მცირე ფასათ უნდა გამოვზარდოთო...

თუ კი ჩვენმა თავად-აზნაურობამ ბანკის მოგებიდან თითქმის ნახევარ—მილიონამდის ფული მოახმარა ვაჟების აღზრდას, ნუ თუ ქალები მისი შვილები არ არიან, ან ნაკლებათ ესაჭიროებათ იმათ აღზრდა! ღმერთმა დაიფაროს ოჯახი უმეცარი ქალისაგან, თორემ იმას შეუძლია მთელი წლების ნაღვაწი ერთ-ორ საათში ნიავს მისცეს.

მაგრამ არა, ჩვენ თავად-აზნაურობას ვერ დავწამებთ, რომ იმას არ შეეგნოს ქალების განათლების საჭიროება, ან მოინდომოს მუქთათ ქალების აღზრდა და დახმარება კი არ აღმოუჩინოს. ბევრს ეხსომება 1892 წ. ბანკის ერთ კრებაზე მთელმა თავად-აზნაურობამ როგორ ერთ ხმათ გამოაცხადა ქალების შკოლის დაარსების აუცილებელი საჭიროება, და დაავალა ბანკის მართველობას, რომ ამ საგნისთვის მიეცა უპირატესობა. გვახსოვს ამავე კრებაზე ერთმა ბანკის საქმეების გამგებელმა დიდი მჭევრმეტყველობით წარმოთქვა დაახლოვებით შემდეგი: „ჩვენ არა ნაკლებ ვფიქრობთ ქალთა შკოლის დაარსების საჭიროებაზე, მაგრამ რა გაუხდებათ, წელიწადში რომ გადავდოთ ოთხი ან ხუთი ათასი მანეთი. მაგას უნდა მუდმივი წყარო და ეს წყარო ამ ცოტა ხანში,—ექვს-შვიდს წელიწადში—აღმოჩნდება... გაგვითავისუფლდება მამული... ერთბაშათ ასიათასი, ანუ ორასი ათასი მანეთი გვექნება“. მართლა და რა შეედრებოდა ამ სიტყვებს, მერე იმისთანა კაცის პირით წარმოთქმულს, რომელსაც ვერ დავწამებდით ვერც აჩქარებას, ვერც მოუმწიფებლობას... განვლო დრომ, განქრენ იმედები... ახლა, ამბობენ, იმ მამულს თითონ შეელა ესაჭიროებაო... ვინ გადაგვწერა უკუღმა პირჯვარი, რომ საზოგადო საქმეები ვერ გამოგვიბრუნებია!

მე ვეთანხმები იმათ, ვინც ამბობს, რომ უცხოეთში პარტიობას დიდი სარგებლობა მოაქვს, საქმეები უფრო ირკვევა, აზრების მოძრაობაა, სიცოცხლე დუღს და გადმოდის. მაგრამ როდესაც ჩვენ ცხოვრებას დავუკვირდებით, ბრაზი მოსდის კაცს, რადგან ამ პარტიობაში იხატება ჩვენი წვრილმანობა. ქალების შკოლის საქმემ მოიტანა სიტყვა, თორემ შორს ჩვენგან, ეშმაკო! მომავალი თაობა თითონ ასწონ-დასწონს ამის ავ-კარგიანობას. ჩვენ მხოლოთ გვინდა ორი მაგალითი მოვიყვანოთ აქა: მე როგორც გარეშე მეთვალ ყურე ხან-და ხან დავესწრებოდი ბანკის კრებაზე. ერთხელ, როდესაც დადგეს კენჭის ყუთი გამგეობის მეოთხე წევრი გვესაჭიროება თუ არაო, მივედ ერთ პირთან, რომელიც მიუდგომელ და სამართლიან კაცათ მიმაჩნდა და თანაც დაახლოვებით იცოდა ბანკის საქმეები და ვკითხე: როგორ გგონიათ, გამგეობის მეოთხე წევრი ესაჭიროება ბანკს თუ არა? იმან თავ-მომწონეთ მიპასუხა: კერძოთ მე თითონ წინაამღდეგი ვარ, საჭიროთ არ მიმაჩნია, მაგრამ მე პარტიას მივდევ და მხარი უნდა დავუჭირო! გავშორდი ციეათ. ოთხი ათასი ან ხუთი ათასი მანეთის დახარჯვა, როდესაც აუცილებელი საჭიროება არ მოითხოვდა, ვის არ დააფიქრებდა.

ერთხელ კიდევ ვიდექ ბანკის დარბაზში და დალონებული შევცქეროდი ხალხის ღელვას. უცბათ წინ დამიდგა პარტიის ერთი კაცი.

— ხომ ვიცი რაზედაც ფიქრობთ; გნებავთ ავძრა ლაპარაკი ქალების შკოლაზე. მე ისე გაოცებით თვალები შევაჭყიტე და უკან დავიხიე, რომ მოპირდაპირემ შემიბრალა და მითხრა:

— ნება თქვენი არ არი, ხმას არ ამოვიღებ!

იცით, მკითხველო, რათ შემეშინდა? ეს პარტიის კაცი იყო და, თუ ხმას ამოიღებდა ქალების შკოლაზე, მოპირდაპირენი წინაამღდეგობას გაუწევდენ; რადგან ჩვენში საქმეს კი არ აქცევენ ყურადღებას, მხოლოთ ვინ აძლრა ლაპარაკიო.

დავუბრუნდეთ ისევ ქართველ ქალებს და მოვაგონოთ, რომ რაც უნდა პიტალო კლდეები იყოს აღმართული იმათ წინ, თუ ქალები ენერგიით მოეკიდებიან საქმეს, თუ ისინი მოინდომებენ—თავისას გაიტანენ. მაშ დავულოცოთ გზა და იცოდენ, რომ ამ საქმის დამთავრება იქნება საძირკველის ერთი ქვა-კუთხედი, რომელზედაც უნდა აიგოს ჩვენი მომავალი ბედნიერება.



## სხვა-და-სხვა ამბავი.

კვირას, 25 თებერვალს თავად-აზნაურთა საგანგებო კრება მოხდარა ქუთაისში. კრებას მოუსმენია პროექტი ფინანსთა სამინისტროსაგან შესახებ წარმომადგენლებისა ქუთაისისა და ტფილისის ბანკებში. ეს პროექტი, როგორც შევიტყვეთ, ერთსა და იმავე დროს ყოფილა გამოგზავნილი თბილისისა და ქუთაისის გუბერნატორებთან. როგორც იწერებიან ქუთაისიდან, პროექტს აზრათ აქვს ჯერ-ჯერობით შეამციროს დამფუძნებელ წევრთა რიცხვი, ხოლო შემდეგში სრულიად გააძევოს მათი მემკვიდრეები. ქუთაისის თავად-აზნაურების კრებამ ერთხმათ მიანდო ს. გ. წერეთელს - იშუამდგომლოს მინისტრთან დამფუძნებელ წევრთა სასარგებლოთ.

* * *

აუარებელი გლოვის წერილები მოგვდის საქართველოს ყოველი კუთხიდან, რომ პანაშვიდს იხდიან განსვენებული ეპისკოპოსი გაბრიელის სულის მოსახსენებლათ.

* * *

ამ ბოლო დროს, როგორც შევიტყვეთ, ცხენის რკინის გზის სამმართველოში უფროსათ დაუნიშნავთ ვიღაც ახალი მოხელე, რომელსაც ქართველები სრულიად დაუთხოვია სამსახურიდან და მათ ადგილას სულ ურიები ჩაუყენებია. არ ვიცით, რამ აიძულა ეს ახალი უფროსი, ასე მკაცრათ მოქცეოდა საწყალ ქართველ დაბალ მოხელეებს, რომელთაგანიც ზოგი 9—10 წელიწადი მუშაობს ამ გზაზე და ისე ასაზრდოებს თავის ცოლ-შვილს.

* * *

ჩვენ მივიღეთ ქ-ნ მარჟორი უორდროპისაგან ილ. ჭავჭავაძის პოემა „განდეგილი“ გადათარგმნილი ინგლისურათ. წიგნი შვენიერათ არის გამოცემული და შიგ ჩართულია პოეტის სურათი. წინასიტყვაობაში ქალ. მარჟორი ამბობს ინგლისის საზოგადოების მიმართ, რომ ქართული ლიტერატურა სპარსეთის ლიტერატურას არ ჩამოურჩება და ღირსია შესწავლისა. „განდეგილს“ და მის ავტორს ილ. ჭავჭავაძეს ჩვენს ლიტერატურაში უპირატესობას აძლევს და ხსნის „განდეგილის“ შინაარსს თავისებურათ: „ეს პოემა აშენებულია ადგილობრივ ლეგენდაზე და ჩემი აზრით სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. თვით განდეგილი განა არ გამოხატავს შუასაუკუნოებს? მწყემსი ქალი უნდა იყოს ხანა ხელოვნების და მეცნიერების აღორძინებისა, რომელიც ბევრათ გვიან გაჩნდა საქართველოში, ვიდრე დასავლეთში. რასაკვირველია, ამ უკანასკნელი ხანის—სიდიადეს—სიცოცხლეს ვერ უმაგრდება ცხოვრების ძველი წეს-წყობილება და ამიტომ ამან ან უნდა მიიღოს ახალი ცხოვრების ლტოლვილება და ან განადგურდეს“.

* * *

ჩვენ მივიღეთ ორი წიგნი ბ. ივ. როსტომა-შვილის მიერ გამოცემული: „ლინჰარდი და გერტრუდა“, მოთხრობა პესტალოცისა და „ფუტკრის გონიერი მოვლა-მოშენება“. ორივე წიგნაკი საკმაოთ სუფთათ არის გამოცემული და ფასითაც ძვირი არ არის.

* * *

მკითხველს ეხსომება, რომ ორი წლის წინათ სათავად-აზნაურო კრებამ მიანდო თავ. გიორგი თუმანიშვილს ჩვენში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ წერილის დამზადება. ამ ჟამათ თავ. თუმანიშვილს შეუდგენია ამ საგნის შესახებ სამი წერილი და კიდეც წარუდგენია ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლისათვის. ამ წერილებს განიხილავს იმავე კრების მონდობილობით საგანგებო კომისია, რომლის წევრებათ იქნებიან თვით გუბერნიის წინამძღოლი, წერილების ავტორი, მაზრების მარშლები და ის პირნი, რომელთაც მოიწვევს გუბერნიის თავად-აზნაურების წინამძღოლი. ჩვენ ვეცდებით ამ მოკლე ხანში გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს ამ საყურადღებო წერილების შინაარსი.

---

## საყურადღებო ამბები.

ქ. ქუთაისი: საწყალ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, ნათქვამია ანდაზა. სწორეთ ასე მოუვიდა წრეულს ქუთაისს: ჯერ წყალ-დიდობამ აწრიალა, ისეთ დღეში ჩააგდო, რომ გამობრუნებას რამოდენიმე წლები მოუნდება, და ახლა ამ მოულოდნელმა თოვლმა სულ გაანადგურა, დაამტვრია, დაანგრია სახლები, დუქნები, შეკრა გზები, მოისპო მუშაობა და ყველას გაუჭირა ცხოვრების სახსარი. დიდი გასაჭირი ადგია ხალხს: არავითარი მომზადება საზოგადოთ არ ჰქონდა, ან ვინ მოელოდა ამას ქუ-

თაისში, როდესაც შარშან ამ დროს თითქმის საზაფხულო ტანისამოსით დასეირნობდენ. მეტათ გასაჭირში არიან უამისოთაც შეეიწროებული მცხოვრებლები, მათთვის არც ფული, არც შეშა და არც ნუგეში; მხოლოთ ამას მიაქცია ყურადღება აქაურმა „საქველ-მოქმედო საზოგადოებამ“ და გადაწყვიტა აღმოუჩინოს შემწეობა და ამ მიზნისათვის აირჩია თავის წევრთა შორის რამდენიმე კაცი, რომლებსაც ,,პოპეჩიტელებს‘‘ ეძახიან. ზოგი აგროვებს ფულს და ზოგი იკვლევს ღარიბის მდგომარეობას და აძლევენ შემწეობას. სწორეთ დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველა ამ საზოგადოების წევრნი და ვინც კი მხურვალე გულით შემწეობა აღმოუჩინა ამ საქმეს.

გურ. ამხანაგი.

***

ს. კუხი. ამ წლის 5 მარტს უნდა მოხდეს ,,მეაბრეშუმეთა ამხანაგობის‘‘ პირველი წლიური საზოგადო კრება ,,ამხანაგობის‘‘ საკუთარ სახლში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

1) განხილვა და დამტკიცება წარსული 1895 წლის ანგარიშისა. 2) დამტკიცება 1896 წლის სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვისა. 3) მოსაზრება, თუ როგორ გაავრცელოს ამხანაგობამ თავის მოქმედება სხვა ადგილებშიაც. გამოსცეს თუ არა მეტი წილის ბარათები თუ სხვანი.

სწორეთ ერთი წელიწადი შესრულდა, რაც ეს ამხანაგობა დაარსდა სოფელ კუხში (ქუთაისიდან 20 ვერსტის მანძილზეა ხონთან ახლოს) და მოკლე ხნის განმავლობაში დიდი თვალსაჩინო ნაყოფიც მოიტანა.

***

ბარცხანა: (ბათუმის გაცალკევებით მხარეა, სადაც ბინადრობენ ნავთის ქარხნების მუშები) 25-ს თებერვალს ბ-ნ გოჩა-ჯიხაიშვილის თაოსნობით გამართული იყო სალიტერატურო საღამო ჩვენი დაუვიწყარი ბელეტრისტის ეგ. ნინოშვილის მოსაგონებლათ. პირველათ წაიკითხა: ბ. გოჩამ ეგ. ნინოშვილის ბიოგრაფია თავისი განმარტებით, რომელმაც ხალხის გულში მწუხარება აღძრა. შემდეგ წაიკითხა ლექსი ჩვენი ბელეტრისტის ტანჯული ცხოვრების შესახებ, რომელიც აქვე მოგვყავს:

ეგ. ნინოშვილის (ინგოროყვას) მოსაგონებლათ.

ძმაო, ეგნატე, შენმა კალამმა
თვალთ დაგვანახვა უმართლო ერი;
დღეს კი არ გვყევხარ, და მისთვის გტირის
მთელი გურია, ამერ-იმერი.
შენც წილათ გარგო მუხთალმა ბედმა —
სიცივ-შიმშილი, სულის კვეთება;
მოუსვენრათა იტანჯებოდი,
არ გღირსებია ტკბილი ცხოვრება.
კაცი იყავი, კაცურათ მოკვდი,
კაცურ სახელი ჩაგყვა საფლავში;
შენი სურათი სიმართლით სავსე
დარჩენილია მოძმეთ ხსოვნაში.
გტირის ბედ-კრული შენი: ,,სიმონა‘‘;
ბანს აძლევს ,,ჩვენი ქვეყნის რაინდი‘‘.
შენ დაგვიხატე კარგი და ავი,
ნათლათ გვიქცია შავი, წყვდიადი.
თუმცა ამ ქვეყნათ ვერა რა გარგეთ,
მაგრამ იქ გექმნეს ტკბილ განსვენება;
აწ-კი მშვიდობით, ძმაო, ეგნატე!
უკუნისამდე შენი ხსენება!..

ერთი სიტყვით ისეთი კაცი არავინ იყო, რომ თვალთაგან ცრემლი არ გადმოცვივნოდა.

იმან მეტათ ააღელვა საზოგადოება, როცა ევნატე განაგრძნობს:—,,მე მგონია, ჩემი ჯანი და ღონე დავკარგე ბათუმის ქარხნებში და მარგანეცის კანტორებში‘‘-ო. ამასთანავე შემდეგ წაიკითხეს: ,,მერანი‘‘, ,,სამშობლო ხევსურისა‘‘ და ,,ჩონგური‘‘. პირმოთნეობით არ ვიტყვი და სწორეთ საზოგადოებამ დიდი მადლობა გამოუცხადა ამ საქმის მეთაოსნეს ბ-ნ გოჩა-ჯიხაიშვილს. იმედი გვაქვს, რომ მომავალშიაც არ მოაკლებს თავის შრომას და თვეში ერთხელ მაინც გამართავს ,,საღამოს‘‘. საღამო იყო გამართული ბათუმის იმ მხარეს, რომელზედაც თვით განსვენებული ეგ. ინგოროყვა მოგვითხრობს: ,,ბათუმის ერთ მხარეს არეულ-აჩხირული ფიცრულ ფარღალალა შენობებია, რომელსაც სარკმელი არა აქვს, ჭერიტინები კი საკმაო. მაგრამ ჭერიტინებში ქარი უფრო მძლავრათ შეზუზუნებს, ვიდრე სინათლე‘‘-ო. დიახ, ეს მხარეა, ჩვენი მუშების საბინადრო ალაგი, რომელნიც მოკლებულნი არიან გონებრივ საჭიროებას.

ჩვენი მუშები, როდესაც ფულს მიიღებენ, მ. ი. შაბათობით არღნებზე ქეიფობენ. თუ თვეში ერთხელ მაინც გაიმართებოდეს ჩვენს ბარცხანაში ასეთი საღამოები როგორც ახლა, უეჭველია, რამდენსამე ხანს შემდეგ, ჩვენი გაუნათლებელი მუშა (უკაცრავათ) ხალხი დაჰკარგავს გაფუჭებულ ზნე-ჩვეულებას.

ილია შარაშიძე.

***

ს. ქვემო-ჭალა. (გორის მაზრა.) კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ჩვენს ინტელეგენციაში აღიძრა სურ-

ეილი ჩვენი მდაბიო ხალხის გონების განვითარებისა და შეძლებისამებრ ცდილობენ კიდეც, რაც შეიძლება, საკმაო სწავლა-განათლება შეიტანონ ხალხში, სხვათა შორის სასოფლო სასწავლებლების შემწეობით. მაგრამ სამწუხაროთ აქამდე ბევრს ვერაფერ წარმატებას ვხედავთ ამ მხრით. ხშირათ შევხვედრივარ ხოლმე წერილებს სხვა-და-სხვა პროვინციებიდან, რომ ჩვენი მდაბიო ხალხი დიდი წინააღმდეგი არის სასწავლებლის დაარსებისაო და კიდევ აქა-და-აქ სასწავლებლები დახურესო. ბევრი გლეხისაგან გამიგონია კიდეც შემდეგი: გლეხები კი გახლავართ, მაგრამ არც ისეთი უგუნურები ვართ, რომ არ გვესმოდეს სწავლის მნიშვნელობაო, სხვა რომ არა იყოს რა, ათასი საჩივრების დამწერნი ჩვენა გვჭირდება ხოლმეო და, ეს რომ ვიცოდეთ, დიდი ღვთის წყალობა იქნებაო. მაგრამ სადაც კი სკოლები ვნახეთ, არაფერი სიკეთე არ მოუტანიათ, ტყუილა უბრალოთ ოთხი-ხუთი წელიწადი დადიან ჩვენი გოგო-ბიჭები სასწავლებელში და მომეტებული მათგანი წერა-კითხვასაც ვერ სწავლობს ხეირიანათ და მუშაობასაც ცდებიან, რაც ჩვენთვის დიდათ საჭიროაო. ათასში ერთი თუ ისწავლის ხოლმე ხეირიან წერა-კითხვას, ის მუშაობას აღარ კადრულობს, თორემ რომ სიკეთესა ვხედავდეთ, თავებს დავიგირავებთ და ისე ვასწავლით ჩვენს შვილებსო.

წრეულს ს. ქვემო-ჭალის სამინისტრო სასწავლებელში დანიშნეს მასწავლებლათ ალექსი მიქელაძე, დიდი მშრომელი კაცი, რომელსაც სწავლა კარგათ მიჰყავს. ამისივე მეცადინეობით, სასწავლებლის წინ გაუშენებიათ შვენიერი ხილის ბაღიც. ხუთი დესეტინა მიწა ამ ბაღისთვის შეუწირავს სასწავლებლისთვის დიდათ პატივცემულ თავ. ივანე გივისძე ამილახვარს. საზოგადოთ ყველანი დიდათ ემადლიერებიან ბ-ნ მიქელაძეს, რომ სკოლის საქმე ასე კარგათ მიჰყავს. წელიწადია, რაც აქ ხელსაქმეს ასწავლის ქ. ს. ფალავანდიშვილისა ® მართლა შესანიშნავათ შეუსწავლებია სხვა-და-სხვა ძველი და ახალი ხელსაქმეები მოსწავლე ქალებთათვის. ამ ფრიად საჭირო საქმის უკეთესათ დაყენებისათვის ქ. ფალავანდიშვილის მეთაურობით გაუმართავთ აქ წარმოდგენა ქრისტეშობისთვეში, ბატონ მიქელაძის და სხვა კერძო პირთა მონაწილეობით. საკმაოთ კარგათ ჩაუვლია წარმოდგენას. სასურველია, რომ სხვა სოფლებმაც მიბაძონ ქვემო-ჭალას და ამითი ხალხს დაანახვონ სწავლის ნამდვილი სარგებლობა.

სტუმარი.



## ნუ ტირი, ჩონთო!

ნუ ტირი, ჩონთო, თამაროს!
თორმეტ თვის იყო ჰაწია.
აიდგა ფეხი, თუ არა,
იმ ქვეყნისაკენ გასწია,

—

საიდან არ ვინ მოსულა;
უველა იქ მიემგზავრება...
ეს არის სვედრი ცოცხლისა,
ასე მუშაობს განგება.

—

განა არ ვიცი, გულსა გწვავს —
შვილი მოგიკვდა პატარა.
შენი ნუგეში, სიცოცხლე,
შენი პატარა თამარა.

—

მაგრამ ნუ ტირი, მე გირჩევ:
აწ მოთმინება სჯობია,
სადაც არ გადის არა — რა,
იქ დათმე დასათმობია.

—

ამასაც გირჩევ, გახსოვდეს:
შვილს ნუ მიანდობ ძიძასა.
დედამ რომ შვილი გაზარდოს,
უკეთეს რაღას იზამსა?

—

გორტოსა.

## ყოვლად სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსის გასვენების წეს-რიგი.

ამგე კომიტეტმა, რომელმაც უნდა განაგოს წესი და რიგი მიცვალებულის მღვდელ-მთავრის გაბრიელის განსვენებისა, უკვე შეადგინა გეგმა განსვენებისა. გამოსვენება საკათედრო ტაძრიდან მოხდება უეჭველათ 10 მარტს, კვირას, დილის ცხრა საათზე, ხოლო წირვას გადაიხდიან წინა დღეს, შაბათს, რადგან ერთსა და იმავე დღეს წირვასაცა და წასვენებასაც ვერ მოასწრებდენ. საკათედრო კარების წინ, ეკლესიის გარეთ, ამართული იქნება განგებ ამ შემთხვევისთვის ამაღლებული ადგილი, სადაც მცირე ხნით დასვენებული იქნება მიცვალებული და სადაც მსურველნი წარმოსთქმენ გამოსამშვიდობებელ სიტყვას. ამას შემდეგ პროცესია გაემართება ვაგზლისაკენ თბილისის ქუჩით, სადაც გამწკრივებულნი იქნებიან მთელი ქუთაისის სასწავლებლების მოსწავლენი თავ თავიანთ მასწავლებლებით და აღმზრდელებით. მიცვალებულის წინ გაემართებიან საეკლესიო და საერო ბაირაღები, ბაირაღებს შემდეგ იქნებიან მგალობელი გუნდები სხვა-და-სხვა სასწავლებლებისა; შემდეგ სამღვდელოება; მიცვალებულის კუბოს მიჰყვებიან მახლობელი ნათესავები, ნათესავებს შემდეგ გენერლობა და უმაღლესი მოსამსახურე პირნი, გუბერნიის მარშლები და ქალაქის მოურავნი, შემდეგ სხვა-და-სხვა დეპუტაციები უცხო გუბერნიიდან მოსულნი; ამათ მიჰყვებიან ქუთაისის გუბერნიიდან მოსულნი დეპუტაციები, შემდეგ თავად-აზნაურობა ამავე გუბერნიისა მაზრის მარშლების წინამძღოლობით; თავად-აზნაურობას შემდეგ ქალაქის ხმოსნები და სოფლის წარმომადგენელნი, შემდეგ მანდილოსნები და ბოლოს დანარჩენი საზოგადოება. წესიერების დასაცველათ იქმნება ოციდან ოცდა-ათამდის პირი, რომელთაც მხრებზე შავი სამგლოვიარო ლენტები ექნებათ. ამ გვარათ დაწყობილი პროცესია მივა ქუთაისის ვაგზლამდის, საიდანაც რკინის გზის მატარებლით გაემართება გელათისაკენ; გზაზე მოწამეთა მონასტრის მახლობლათ მცირე ხნით შეჩერდება, სადაც ამ მონასტრის სამღვდელოება მიეგებება და გადიხდის პანაშვიდს. გელათის სადგურიდან ყოვლად სამღვდელო ხელით იქმნება გასვენებული თვით გელათის მონასტრამდის, სადაც ტაძრის წინ მცირე ხნით იქნება დასვენებული, რომ დანარჩენ მსურველთ მიეცეს საშუალება სიტყვის წარმოთქმისა და შემდეგ მიაბარებულ იქმნება მიწას თვით გელათის ტაძარში.

## პასუხის პასუხი.

ერთმა თათარმა მეორეს ჯოხი გადაამტვრია თავზე და თავი გაუტეხა. გალახულმა ყადთან იჩივლა, ყადმა მოიხმო გამლახველი და გამოჰკითხა: როგორ იყო ეს ანბავიო? მოპასუხემ თვალი უქნა და მოახსენა: „მაგ ჭირვეულმა კაცმა ჩემ ჯოხს თავი ახალა და ჯოხი გამიტეხაო!" ყადმა მომჩივანი გაამტყუნა და ჯოხის ფასიც გადაახდევინა. — მაყურებლებს გაუკვირდათ და ჰკითხეს ყადს: „ეგ როგორ იქნებაო"? ყადმა გაიცინა და სთქვა:" „ნიჯა ოლმაზ? ბუთიუნ დუნია მუჯიზალარ ილე დოლუ დურ"ო. ე. ი. რატომ არ შეიძლება? მთელი ქვეყანა საკვირველებით საესეაო. ეს ანბავი ქართ. ამხ. წარმომადგენლის პასუხმა მოგვაგონა.

იმ დალოცვილმა უმიზეზოთ გაგვლანძღა, უკადრისები გვკადრა, ჩვენ სამაგიეროდ არ მოგვიხსენებია რა, მხოლოთ გაგვიკვირდა, და ახლა, ნაცვლათ პისა რომ შეენანებია, პირ-აქეთ გვირისხდება: ჩვენს სიტყვებში ცუდი არა ყოფილა რა და თქვენ კი უზდელათ მოიქეცით; აბა, თვით ჯოხის გატეხა სწორეთ ეს არის. აი, რა ბრძანა იმან ჩვენს შესახებ: „ამაში კი დარწმუნებული ვართ, რომ „კვალის" თანამშრომელთა ენაზე უკადრისი ანდაზებიც ბევრია და სიტყვებიცო.", „ვოკასა შანა რაცა სდგას, იგივე წამოდინდებაო", და სხვანი. აი, ეს სიტყვები გვგონია ჩვენ უკადრისი და ის კი გვიმტკიცებს, რომ აქ საწყენი არა არის რა და ძალიან ზდილობიანიც არისო. თქვენ კი უზდელათ გაისარჯეთ, როცა ამ სიტყვებს სწერდითო: „ცულის აღება ბრმენსაც შეუძლია და რეგვენსაცაო.", „ნაცარქექიებიო", „თავრეტიან ბატებივითო".*) „აი საკადრისი ანდაზა და სიტყვები ამ მოკლე ხანში ხმარებული თ. აკაკი წერეთლის მიერ. გსთხოვთ მკითხველთ მე —82 გვერდის (კვალი № 6) პირველი სვეტი წაიკითხონ და სთქვან, განა ამისთანა ლექსები ეკადრება „ქართველთა ამხანაგობასო?!".

*) ნეტა სად ამოუკითხავს „ამხანაგობის" წარმომადგენელს, ბ-ნ ალ. ჯაბადარს, ეს სიტყვები, ვითომ ბ-ნ აკაკისაგან მიმართული „ამხანაგობისადმი"? ჩვენ მისი წერილის წაკითხვისთანავე გვინდოდა აღგვენიშნა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ეს არა-საკადრისი საქციელი, მაგრამ რადგანაც ბ-ნ აკაკიმ თვითონ ისურვა პასუხის გაცემა, ამიტომ ჩვენი სურვილი მაშინვე ვერ განვახორციელეთ. ახლა აღვნიშნავთ ამას და მივანდობთ მკითხველს ამ „ხელისხელ საგოგმანები მარგალიტის" დაფასებას.

რედ.

ბატონებო, თქვენი ჰირიმეთ, აიღეთ ხელში „კვალის“ № 6, გადაიკითხეთ მისგან მითითებული 82 გვერდი და თუ ან ეს, რაც ამოუწერია, და ან სხვა უზდელი რამე ნახოთ იმ ჩემ ნაწერში, გამამტყუნეთ! მაგრამ საკვირველებაც ის არის, რომ ესენი იქ არაფერი არა სწერია და მხოლოთ ბ-ნ წარმომადგენელს შეუთხზავს თავის-თავათ, რომ ცილი დამწამოს და გამკიცხოს.—ამას შემდეგ გადადის ჩვენ შორის შეკრულ პირობაზე და ისეთ რამეებს ანბობს, რომელიც ჩემი წერილის პასუხი არ არის და არც თვით იმას უხერხდება პასუხი, ისე გადახვეულ-გადმოხვეულია.—მე არაფერს არ მივხედავ, კონტრაქტი ხელში მიჭირავს. რა ვუყოთ მერე? კონტრაქტი მეც მიჭირავს ხელში, მაგრამ საქმე ის არის, რომ მისი აზრი და ძალა ორივეს სხვა-და-სხვანაირათ გვესმის, ბატონო ამხანაგობის წარმომადგენელო. ზემო მოტანილი მაგალითისა არ იყოს, სადაც თქვენი სიტყვები მე ლანძღვა გინება მგონია და თქვენ კი ამტკიცებთ ზდილობიანიაო. აგრეთვე ჩემ სიტყვებს სულ სხვა ნაირათ აქართულებთ და მისთანა სიტყვებიც ამოგიწერიათ, რომელიც იქ არარის ნახმარები, რა გასაკვირალია, რომ კონტრაქტიც სხვა ნაირათ გესმოდეთ და ვერ შევთანხმდეთ? სწორეთ ამისთვის არიან საჭირო გარეშე პირები ანუ მედიატორები, რომ გაარ-




მ ტ ე რ - მ ო ყ ვ ა რ ე.

რონ და სთქვან: ვინ არის შემცდარი? და ვინ არა? ეს მით უფრო საჭიროა, რომ თვით კონტრაქტშიდაც არის მოხსენებული ამაზე. მუხლი 9) Возникшія недоразумѣнія должны быть разрѣшаемы третейскимъ судомъ, рѣшеніямъ котораго безусловно подчиняются спорящія стороны и пр... ამაზე მეტი „ნედარაზუმენიე“ რაღა გინდათ: მე თქვენი თანახმა არავარ და თქვენ ჩემი და მაშ რათ ნებულობთ, რომ ამ მეცხრე მუხლს გვერდი აუხვიოთ? ეს ხომ პირდაპირი უსამართლობა და დესპოტობა არის? აგრეთვე ბძანებთ: ნება არა გაქვს უჩვენოთ, რომ პირობა დაარღვიოთო! ნებას არ მოგცემთ! და სხვანი. იქვე კონტრაქტიდან კი ამოგიწერიათ: „ვინც პირობას დაარღვევს ჯარიმა უნდა გადაიხადოსო.“ ეს ნუთუ ცხადათ არ ამტკიცებს, რომ პირობის დარღვევა ერთ მხარესაც შეუძლია და მეორესაც თავის თავათ და მხოლოთ ჯარიმას გადიხდის, თუ გამტყუნდება. და ვინ უნდა გაამტყუნოს ან ერთი და ან მეორე, თუ მედიატორეები არ იქნებიან? თქვენ კი, როგორც გეტყობათ, ისე გგონიათ, რომ, რაღაი კი კონტრაქტი ხელში გიჭირავთ, ყოლიფერი თქვენვე უნდა იყოთ: მომჩივანიც, მოპასუხეც, მსაჯულიც და ბოქაულიც! მეორე მხარე კი თქვენი ყურ-

მოჭრილი მონა, ყოველ უფლებას მოკლებული!.. ერთი გვიბრძანეთ, ეს რომელ საუკუნეში და რომელი ხალხის რჯულის კანონში ამოგიკითხავთ? ძალიან საფუძვლიანათ ბძანებთ: „ტყვილათ ნუ ინებებთ ფიქრს იმაზე, რომ „ამხანაგობამ“ ვისმე „შეალახვინოს“, „სასაცილოთ აალებინოს“, თავისი უფლებანიო“. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ თვითონ თქვენ რაღათ ნებულობთ სხვის გაკიცხვას და დაჩაგვრას? აკი ბატონ-ყმობა მოისპო და თანასწორობა შემოვიდა? და თქვენი მხრით თუ არ ბატონურ მედიდურობას, სხვას რას ნიშნავს თქვენი სიტყვები: „ჩვენ მაინც ჩვენსას ვიზავთ და შენკი პირობას არ დაგარღვევინებთო?“ არ ვიცი ღმერთმანი, რათ ერიდებით მედიატორების სამართალს? მართალია ერთგან ბრძანებთ: „ჯერ ორასი თუმანი შეიტანე ბანკში და მერე მოგყვებით სამართალში და ანგარიშსაც მაშინ გაგიწმენდთო“. თქვენდა თქვენი ღმერთი! ეს სათქმელია? ეგება ღარიბი ვარ და ვერ შემოვიტანე საწინდარი და თქვენ კი განა ეგ უფლებას გაძლევსთ, რომ თქვენ თქვენ ნებაზე იჯირითოთ, აღარც ანგარიში გამიწმინდოთ და არც სამართალში მიმყვეთ? ამისთანა კანონი რომ იყოს, მიშინ ხომ ყოველ ღარიბს დაკეტილი ექნებოდა სასამართლოს კარები და მარტო მდიდრებს დარჩებოდათ ბურთი და მოედანი? მაგრამ ვინ არ მიხვდება, რომ ეს მხოლოთ სიტყვის ბანზე აგდება არის და სხვა არაფერი!.. ისე როგორც ყველა თქვენი სხვა ნაბძანებიც. მაგალითათ: „დაბეჭვდა მიტომ დავაგვიანეთ რომ სამი ტომის მეტი არ გამოვა თქვენი თხზულება და ის კი, რაც უნდა დაიბეჭდოს მესამე ტომში, უკვე დაბეჭდილები ქრიან გაუყიდველი მაღაზიებშიო.“ ეს ისე მართალია, როგორც ის, რომ თქვენგან დაბეჭდილი პირველი და მეორე ტომი ორმოცის მეტი არ გაყიდულა, რაიცა საამხანაგო ანგარიშიდანა ჩანს!.. მაგრამ მაინც ამითი რა გნებავთ, რომ სთქვათ? ეს ხომ თქვენ არ შეგეხებათ? და ვალდებული იყავით, რომ მესამე ტომიც დაგებეჭდათ? ამას გარდა თქვენ ხომ ბძანებთ, რომ სამი ტომის მეტი არ გამოვაო? თუ ეგ მართალია, მაშ დაბეჭდეთ მესამე ტომიც და მე სამივე ხელაღებით თქვენთვის მომირთმევია, ოღონდ კი მაგითი გათავდეს საქმე და ერთმანეთს გავშორდეთ! რაც შეეხება იმას, რომ ვითომც მე თქვენთან მოყიდულის ჩემი ძველი ნაწერების სხვასთან ხელ ახლა გაყიდვა მდომებოდეს, ამაზე ლაპარაკი არ გეკადრებათ, რადგანაც თვით ჩვენი მიწერ-მოწერიდანა სჩანს, რომ ლაპარაკი იყო მხოლოთ ახალ ჩემ თხზულებაზე და არა ძველ ნაწერებზე! „რატომ შენი ახალი ნაწერი ჩვენ-არ გამოგვიგზავნეო, რომ ბრძანებთ, ნუთუ დაგავიწყდათ, რომ მე მსურველი ვიყავი თქვენს ჟურნალში მემუშავნა? რამდენიმე ლექსი უსასყიდლოთაც მოგართვით, მაგრამ როდესაც ახალი, ჯერ არსად დაბეჭდილი დრამატიული თხზულება მოგიტანეთ, ის უკანვე თავში მახალეთ: რედაქციამ დაიწუნა და ვერ დავბეჭდავთო. რედაქციას ყოველთვის შეუძლია ამისი თქმა და მეც მაშ ყოველთვინ მტყუანი გამოვალ. ეჰ რომელი ერთი მოგახსენოთ?!. უმჯობესია გავჩუმდე, რადგანაც თქვენ მაინც თქვენსას არ დაიშლით და თქვენებურათვე ახსნით ყოლიფერს!.. ამას იქით ყოველივე საუბარი გავწყვიტო თქვენთან და ჩემი სიმართლე და სიმტყუნე, თუ ცოცხალი ვიქენი, ვეძიო სამართლის წესით და, თუ არა და, მაშინ რაღა გაეწყობა, მეც ის დღე დამადგეს, რაც სხვებს დაადგა და ან მომავალში დაადგებათ, თუ მაგრე წაიყვანეთ საქმე.

აკაკი.

# მესამოცე წლების მოღვაწენი
და
## დღევანდელი ცხოვრება.

(თ. რ. ერისთავის იუბილეს გამო.)

I *)

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩვენ ცხოვრებაში ძირითადი ცვლილება მოხდა. საქართველომ [1]) უარჰყო თვით-არსებობა, ჩვენს თავს ჩვენ ვერ მოვუვლითო და რუსეთს დაექვემდებარა. ასეთი ცვლილება უეჭველათ პოლიტიკური ცვლილებაა: ერის მართვა-გამგეობა შეიცვალა, ეროვნული მთავრობის ადგილი უცხო ტომმა დაიჭირა. რა ნაირათ უნდა ემოქმედა ამას ხალხზე? გაანძრია მისი გული? დაინახა, შეიგნო ის, რაც მოხდა? ამაზე ისტორია გადაჭრით გვეუბნება: არა, არ შეუგნიაო. მართალია აქა-იქ წინაალმდეგობა და არეულობაც მოხდა, მაგრამ ეს გამოიწვია ახალ მოხელეთა უგვანო საქციელმა და არა რაიმე ფართო პოლიტიკურ მოსაზრებამ. (იხ. „მოამბეში“ ბ-ნ ფრონელის წერილები მთიულეთის შესახებ). ამას ამტკიცებს ის გარემოებაც, რომ არეულობა ატყდა ჩვენი ქვეყნის

*) იხ. კვალი № 9.

[1]) უნდა ვიგულისხმოთ მაღალი თავად-აზნაურობა რასაკვირველია, ვინაიდან ქვეყნის გამგე-ბატონი ის იყო.

ყველაზე უფრო ჩამორჩენილ ნაწილში—მთიულეთში. რა არის ამის მიზეზი? დღეს რაც უნდა ცვლილება მოხდეს პოლიტიკაში, ის მაშინვე ერის გულს მიწვდება. ჩვენ კი დავკარგეთ ის ძალა, რომელიც თავიდანვე გარს შემორტყმული გვქონდა და რის მეოხებით ისტორიულ გრიგალში თავი გადავირჩინეთ. ამან ისე ჩაიარა ვითომ არაფერი მომხდარიყოს! ნუ თუ ამის ახსნა შეუძლებელია? ეს ხომ ისტორიის წინააღმდეგ არ მომხდარა, მაშასადამე ისტორიაში უნდა ჰქონდეს საფუძველი. ჩვენი აზრით აი ასეთი საფუძველია: პოლიტიკური ცვლილებით იოტის ოდენათ არ შეცვლილა ხალხის შინაგანი ეკონომიური, იურიდიული და გონებრივი მდგომარეობა. ერი დარჩა ისევ დანაწილებული, ერთი მეორისაგან დაშორებული და კარჩაკეტილი, მოყვრულ-ნათესაობაზე აშენებული ურთიერთობით და ვიწრო ადგილობრივი ინტერესებით ასულდგმულებული, მიმოსვლით, აღებ-მიცემობით, მოქალაქობრიობით დაუძლურებული. ასეთ ერს არ შეეძლო თავის თავი ეგრძნო ერთ პოლიტიკურ მთელათ, ჭირში და ლხინში განუყრელათ. ახალი უცხო წყობილება აშენდა ძველებურ თავისებურ ცხოვრებაზე. ხალხისთვის რა საინტერესო იყო, თუ ვინ იქნებოდა ქვეყნის მმართველი, თუ კი მას არ შეაწუხებდენ, ცოლშვილს არ დაუწიოკებდენ, წენარ ჩვეულებრივ ცხოვრებას აცლიდენ. ამიტომ პოლიტიკა და ცხოვრება ერთმანერთს ვერ მოხვდა, უკანასკნელს პირველი მეტხორცათ არ უგრძვნია, რადგანაც მასთან მჭიდრო კავშირი არ ჰქონდა. ის ეროვნული აზრები, რომლის ქადაგება შემდეგ საჭირო შეიქმნა მაგ. სამშობლო ენა გიყვარდესო, მაშინ სრულიად უცნობი იყო. ამაში არ იყო მოთხოვნილება. ხალხი ქართული ენითაც იოლათ მიდიოდა, ამ მხრით მას არ აწუხებდენ. [2]) ამიტომ ამ საუკუნის პირველ ნახევარში ქართველ პოეტებმა ეროვნულ ნიადაგზე ფეხი ვერ მოიმაგრეს. აქ შინაარსი ვერ იშოვეს. თუ ვინმე სამშობლო სევ-ბედს ეხება, ეხება მხოლოდ საზოგადო ფრაზებით, წარსული უნდა გვიყვარდესო, მარა რაში უნდა გამოიხატოს ეს, რა პრაქტიკული, დაუყოვნებლივი ფორმა უნდა მიიღოს, ამას ვერ გვეუბნებიან და თქმაც შეუძლებელი არი. ცხოვრება თითქმის ერთ დონეზე იდგა, ახალი კითხვების დაბადება მაშინდელ ვიწრო კალაპოტში შეუძლებელი შეიქმნა.

ამ ნაირათ ქვეყნის ეკონომიურათ განუვითარებლობა საფუძვლათ დაედვა პოლიტიკურ დაცემას და გონებრივ მისუსტებას.

ასე ნელ-ნელა სიარულით მოვედით მესამოცე წლამდე. ამ დროს რეფორმების ხანა დადგა. ბატონყმობის გაუქმება ერთი მხრით, და ახალი შკოლების და სასამართლოების დახსნა მეორე მხრით. ცხოვრებამ ორი უდიდესი კითხვა წამოაყენა: რა ნაირათ უნდა მივეგებოთ გლეხთა თავისუფლებას? რანაირათ უნდა ვისარგებლოთ ახალი სისტემის შკოლებით და სასამართლოებით? პირველ კითხვამ განხეთქილობა ჩამოაგდო, საზოგადო აზრი დაიყო ორათ: ბატონ-ყმობის მომხრე და ბატონ-ყმობის მოწინააღმდეგე მიმართულება თავად-აზნაურული და გლეხ-კაცური. ამ ორ ელემენტთა შორის ატყდა სასტიკი ბრძოლა. პირველს მწერლობაში არ დაურჩა გაელენა, მას რათ უნდოდა მწერლობა, როცა მთელი სინამდვილე მისკენ იყო, ის აქ, სიბნელეში, მუშაობდა. მეორე კი სინათლეში გამოვიდა, ახალი ცხოვრებისთვის ახალი იარაღით აღიჭურვა, მწერლობა შეიქმნა მის სატრფიალო საგნათ. ამან მისცა დასაბამი დროს შესაფერ, პროგრესიულ მიმართულებას. მაგრამ ეს მარტო ამით არ დაკმაყოფილებულა. რუსეთში საშკოლო და სასამართლო წესები გამოიცა მთელი იმპერიისათვის, რა საშუალებით შეიძლება ის საქართველოში შემოვიდეს, როგორ უნდა გამოიყენოს იგი განთავისუფლებულმა ხალხმა? პასუხი ცხადია, სამშობლო ნიადაგზე სამშობლო ენის საშუალებით. სამშობლო ენის დაცვა მოთხოვა ცხოვრებამ.

ამ გვარათ, სიყვარული გლეხ-კაცობის და სიყვარული სამშობლო ენის შეიქმნა იმ ღერძათ, რასაც უნდა გადაეტრიალებია ჩვენი ცხოვრება. ეს სავსებით შეიგნეს მესამოცე წლების მოღვაწეებმა და ამ მხრით მიმართეს თავიანთი ძალ ღონე. მათ მოქმედებაში არავითარი წინააღმდეგობა არ ყოფილა. ვისაც ხალხისთვის გული შესტკიოდა, მას უნდა ეზრუნა მის მოქალაქობრიობაზედაც. ეს კი შესაძლებელი შეიქმნებოდა ბატონ-ყმობის ბორკილის დამსხვრევით და სწავლა-განათლების გავრცელებით. რა ენაზე შესაძლებელია სწავლის მიღება თუ არ სამშობლო ენაზე? ორივე მხარე მჭიდროთ დაუკავშირდა ერთმანეთს. ხალხის უფლების დაცვა ნიშნავდა იმავე დროს მისი ენის დაცვას, მისი ენის დაცვა

[2]) ბ-ნ ფრონელი მოგვითხრობს ზემოთ დასახელებულ წერილებში, რომ რუსულ ენაზე აწარმოებდენ სამართალს და მომჩივან-მოპასუხეს გზა-კვალი აებნათ. მაგრამ ეს რასაკვირველია თვითეული, იშვიათი, მოვლენა იქნებოდა: სარჩელები მაშინ ხომ ხშირი არ იყო. ყმას ბატონი ასამართლებდა. თბილისში აბა ვინ წავიდოდა სამართლის საძიებლათ, ეს დღესაც არ არის ადვილი. ამიტომ ახალი სამართალი ხალხის ცხოვრებას ვერ შეანძრევდა, როგორც ეს შემდეგ მოხდა.

ხალხის უფლების დაცვას. სამშობლოს სიყვარულმა მიიღო განსაზღვრული, პრაქტიკული ფორმა, ის ჰაერიდან დედა-მიწაზე ჩამოვიდა, გრძნობამ ხორცი შეისხა, ტრაბახობა მოქმედებათ იქცა. სამშობლო ენა გიყვარდესო! აბა, უთხარი ეს მაგ. ფრანგს თუ მან მაშინვე სიცილი არ ასტეხოს, განა ამასაც ლაპარაკი უნდაო. მაგრამ თუ იმავე კითხვით ელზასელ ფრანგს მიმართავეთ, ის გულდასმით მოისმენს, მართალს ამბობ, ამის ქადაგება ჩვენში საჭიროაო. რატომ ასე განსხვავდებიან ეს ორი მოძმენი ერთმანეთისაგან? იმიტომ რომ პირველს არავინ ძალას არ ატანს ფრანგული ენა დაივიწყო, მაშინ როდესაც მეორის გასაგერმანებლათ გერმანიის მთავრობა ყოველ ღონის ძიებას ხმარობს. ისტორიულ წარსულში ენის მხრით ჩვენ დიდი გასაჭირი არ გვადგა. აჭარ-ქობულეთელთ დღემდე მოიტანეს ქართული ენა. ამ საუკუნეში კი სხვანაირ გარემოებაში ჩავდექით. მართალია, ომს ალარავინ გვიშერება, მაგრამ მაგიერში უომრათ, უიარაღოთ, ტკბილი სიტყვებით გვიძვრებიან ოჯახში, შკოლაში, საზოგადოებაში, დაწესებულებაში, გვიჩხრეკენ გულს, სულს, ყველაფერს და რათ იხარჯვის ამდენი შრომა? ევების ქართველობამ ქართველობა უარჰყოსო! ეს მიდრეკილება თავიდანვე იყო, მხოლოთ თავიდანვე არ ყოფილა მისი ცხოვრებაში გასატარებელი პირობები. ეს გაჩნდა მეს.მოცე წლების შემდეგ, როცა ხალხი განთავისუფლდა და განვითარების გზას დაადგა.

აი, ამ მოძრაობის ნაყოფია ის მწერლობა, რომელიც ჩვენს გონებრივ ზრდას საფუძვლათ დაედვა და რითაც დღესაც ვიკვებებით. მწერლობა ეხება ორივე კითხვას: პოლიტიკურ-სოციალურს და ეროვნულს. ქართველის გაევროპიელება და ქართველის გაქართველება — აი დედა-ბოძი ამ მიმართულების. ამ საძირკველზე შენდება კედელი. პირველი წყება აშოშენდა მესამოცე წლებში, ხოლო მთლათ აშენება ჩვენი წარმატებისაგან არის დამოკიდებული. მესამოცე წლების მოღვაწეები მარტო ლიტერატურით არ დაკმაყოფილდენ. ისინი აარსებენ სხვა-და-სხვა საზოგადო დაწესებულებებს, როგორც იარაღათ, საქართველოს წინ-წაწევისათვის, ადგენენ სახელმძღვანელოებს როგორც ერთათ ერთი სახსარი დედა-ენაზე ბავშების აღზრდისა და სხ. ერთი სიტყვით როგორც ცხოვრებით ისე გონებით ევროპის ფერხულში ჩავებით. ხალხმა იწყო თავისი კარჩაკეტილ მდგომარეობიდან გამოსვლა. ცხოვრება დაინძრა და აი აქ ხდება ის, რაც ნახევარი საუკუნის წინ ვერ მოხდა: ცხოვრება და პოლიტიკა, ხალხი და მართვა-გამგეობა ერთმანეთს, შეხვდენ და ამით შესაძლებელი გახდა საქართველოს ბედ-ბედის შეგნება. ეს მხოლოთ დასაწყისია, მთელი ჩვენი განვითარება იმავე დროს მოასწავებს ამ შეგნების განვითარებას და გავრცელებას. მაშასადამე, შეგნება ისტორიული განვითარების ნაყოფია, გონებრივი ცვლილება ეკონომიური ცვლილების შედეგია. ესენი მუდამ ერთათ მოდიან. ამ ახალი ცხოვრების დაწყება და მეთაურობა წილათ ხვდა მესამოცე წლების მოღვაწეთ. ის გარემოება რომ მათ ნამოქმედარს დღეს ვაფასებთ, ამტკიცებს იმას, რომ მაშინ არ იყო დაფასებული, მაშინდელ შეცდომას დღეს ვასწორებთ და იმის მაგიერ რომ წინ ფეხი გადავდგათ, თანამედროვე ცხოვრების შესაფერი იდეები შევიმუშაოთ, ვდგევართ ერთ ალაგას, ვცხოვრობთ მხოლოთ წარსულის მოგონებით, ვკმაყოფილდებით წასული მწერლობით.

ვიმეორებ: როგორც კი ხალხი ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლდა და დაადგა მოქალაქობრივ გზას, შესაძლებელი გახდა პოლიტიკური და ეროვნული კითხვების წამოყენება, მათი გავრცელება და შეგნება. მესამოცე წლების მოღვაწენი გამოვიდენ ორივე მიმდინარეობის მომხრეთ და მემოიარაღეთ.

ნ. ჟორდანია.

(შემდეგი იქნება)

---

## მეტი ღონე არ არი!

### ეტიუდი.

(ვუძღვნი ქნ. ანნა ბაგრატიონ — დავითიშვილს).

(დასასრული *)

გმადლობ, ღმერთო, რომ ამაცილე განსაცდელი, თვალი ამიხილე დაბრმავებულს და გამაცანი!.. დაუმატა ძალ-დატანებით ვარომ. ამ დროს სხვა ქალებიც დაეწიენ, ვარომ მათ არა უთხრა-რა. დანიშნულ ოჯახში მხიარულება იყო, იასონიც იქ გაჩნდა, მივიდა ვაროსთან და ცდილობდა ჩვეულებრივათ მომეტებულ ტრფიალებას. ვარო კი გამოუთქმელათ იტანჯებოდა. ამას უყვარდა იასონ, რომელიც, თუმცა სხვას ეკუთვნოდა სულით, გულით, მაგრამ ამასაც თვალებს უბამდა, ატყუებდა. ერთი მხრით გატაცებული წმინდა გრძნობა, რომელიც ყოველთვის წმინდანათ დაუსახავს სათაყვანოს; მეორე მხრით თვალით ნახული სისაძაგლე ერთიმეორეს გამკლავებოდა, არ იცოდა ვარომ, რომლის მხარე დაეჭირა, რომელი დაემარცხებია, დაეთრგუნა. ან თვითონ იასონისთვის შეემჩნევინებია თუ

*) იხ. „კვალი“ № 9.

არა?!. ამჯობინა ფარულად, შეუმჩნევლად შორს გასდგომოდა. თუმცა ამისათვის ბევრი ბრძოლა დასჭირდა, მაგრამ მაინც შეასრულა თავისი გარდაწყვეტილება. იასონს ძალიან გულით არ აწუხებდა ქალის ასეთი ცვლილება, თუმცა უკვირდა, თითქო თავ-მოყვარეობაც ებღალლებოდა

— ჩვენ ხვალ მივდივართ სოფელში.—უთხრა ვარომ, როცა უკანასკნელად შეხვდენ ერთმანეთს.

— იმედია მოკლე ხნით?..

— არა სამუდამოთ.

— სამუდამოთ?.. მერე როგორ ვიცოცხლო?.. როგორ გავძლო უჩემ სალოცავოთ? ძალ-დატანებული შეშფოთებით ჰკითხა იასონმა. ქალმა წუთს სიძულვილი იგრძნო ამ ფლიდ მატყუარასადმი.

— რა გაეწყობა, კნიაზო, უნდა მოიჰირვოთ, მოითმინოთ... მოიწვიეთ მკურნალი და ნერვების დამამშვიდებელი წამლები მალ-მალ სვით... იმედია, ჰაერიც ხელს მოგიმართავთ და აიტანთ მძიმე წუთებს... იმ დროს სხვა სამლოცველოსაცააშენებთ თქვენს გულში, თუ ჯერ კიდევაც არ აგიგიათ.

იასონმა თვალები დააჰყიტა, ფერმა გადაჰკრა სახეზე, დაკვირვებით მიაჩერდა ქალს, რომელსაც სიბრაზე მორეოდა, ქალს უნდოდა ეთქვა პირ-დაპირ, რომ მოშორებოდა თავიდან უსინიდისო, საძაგელი, მაგრამ საჩქაროთ მოტრიალდა და წავიდა. მას დღეს შემდეგ ვარო კარგა ხანს ჩაიკეტა სოფელში, ყველა იასონისთანა ეგონა, ზიზღსა და სიძულვილსა გრძნობდა მათ მიმართ. თაფლო და სვიმონი კი სწუხდენ, რომ ვაროს უგვიანდებოდა გათხოვება.

— არა, არ შემიძლიან გათხოვება, სანამ ასეთ სიძულვილსა ვგრძნობ კაცების მიმართ!.. არა, იტყოდა ვარო. როგორც იყო გულიდან ამოიღო იასონ. ისევ მიეცა უზრუნველ დროს გატარებას. ხანდისხან გაიხსენებდა წიგნების კითხვას, რაიმე ხელსაქმეს, მაგრამ, რაკი ჩვეულებათ გარდაექცა მუდამ უსაქმურათ ყოფნა და სიარული ამის გამო დიდხანს გულს ველარ უდებდა, მალე ისევ მიაგდებდა გვერდზე და თვის-თვეობამდე აღარ გაიხსენებდა. რას ელოდა ვარო?.. თვითონაც არ იცოდა. თაფლოს და სვიმონის შეძლება შეირყა, ხელიდან გამოეცალათ და უკანასკნელ სულთ-მობრძავე ოჯახს მაინც ჯაჯახანა ადგა. ძალას ატანდენ, თხოვდენ შეუძლებელს, რათა უკან არ ჩამორჩენოდენ სხვებსა. მაგრამ აგერ გარდაიცვალა სვიმონ, შემდეგ მას თან მიჰყვა თაფლოც. დარჩა ვარო ბიძა-ძალუასა ანაბარა... თუმცა დიდი მწუხარე იყო მშობლებზე, დრომ მაინც თავისი გაიტანა, მოთხოვა ბრძოლა არსებობისათვის. გარდა დაობლებისა შეძლებაც აღარა დარჩა-რა, რადგან მოვალეებსაც პირის ქარათ არ გაუხდათ, ვარო საშადლოთ წაიყვანა მამის ძმამ თავისთან. ვაროს ცხოვრება ძალიან შე-ცვალა. პირველში უფრთხილდებოდენ, თითქო ეცოდებოდათ, მაგრამ შემდეგში, როდესაც მოიარა, ოჯახში სახლში მყოფებმა თვალყური შეაჩვიეს, გაიცნეს, მოიწყინეს, აღარაფრათ ჩააგდეს, მეტათაც სცნეს. თითო თვეობით წავიდოდენ ძალუა-ბიძაშვილები, ორი გასათხოვარი ქალით. ვაროს მიუგდებდენ სახლს, რათა ყური ეგდო, ყველას ფეხდაფეხ მიჰყოლოდა. შრომას უჩვევი ქალი, გამოუცდელი ვერ ურიგდებოდა ახალ უცხო მოვალეობას, თუმცა თვითონაც გულითა სურდა აესრულებია დავალებული, მაგრამ გაკეთების მაგიერ უფრო აზდენდა. ძალუას პირველათვე არ უნდოდა ვაროს თავის ოჯახში შემოყვანა, რადგან ვარო მის ორივე ქალებს სახით სჯობდა, მაგრამ ქრმის სურვილს წინ ველარ აღუდგა.

— გენაცვა, კი არ იკლებს არაფერსა-და!.. როგორც ჩემ ნატოსა და კატინას ვაცმევ, ესეც იმას ნებულობს, მერე რა გულითა-და!.. ღარიბი, მშიერი, ჩვენ რო არ გაეჩენოდით, ქუჩა-ქუჩა უნდა ეწანწალა. ვარო ისმენდა ამისთანა საყვედურებს ძალუასგან, ჩუმათ ცრემლებით იმდულრებოდა. პირველში ბიძა არ ეთანხმებოდა ცოლს, მერე კი, როდესაც დაარწმუნა, თუ ვარო რა ძნელი საკისრებელი იყო, რაკი არ თხოვდებოდა, ამანაც გული აიყარა ძმისწულზე, მუდამ უსიამოვნო საყვედურის აბებს აყლაპებდა უმწეო დაჩაგრულს ქალს. ეს თანდათან შეავიწროვეს, რომ ვაროს სურვილი გალეიძებოდა ან გათხოვებისა, ან სხვაგან გადასვლისა. ბოლოს პირათაც გამოუცხადეს, რომ თუ შეირთავს სნეულ, ბებერ გენერალს ხომ კარგი, თუ არა და საცა ნებავდეს წაბრძანდეს. ძალუამ სასტიკათ უბრძანა მოსამსახურეებს ყური მოეყრუათ ხოლმე ვაროსთვის, როცა ის დაასაქმებდა. ზამთარში ცეცხლი დაუძვირეს, დიდ სანათის მაგივრათ დაუდგეს ოდნავ ბჟუტავი ძველი პაწია ლამპარი. ვარო თავში იცემდა, ფიქრობდა, მთელ ღამეებს თეთრის თვალით ათენებდა, რომ აღმოეჩინა გარემოების შეცვლელი საშუალება. მასწავლებლათ წასვლას, მკერვლათ ყოფნას თანა სდევდენ ჩრდილსავით წინათ გამოვლილი დიდებული დღეები და თავ-მოყვარეობა თავს არ ავიწყებინებდა. ისევ არჩევდა ჯერ-ჯერობით ბიძა-ძალუას ხელში ტანჯვას.

III

ვარო კარგა ფიქრს შემდეგ წამოდგა... მაშ ნუ თუ დალუპული ვარ?.. შესძახა მან მწარეთ. გალურჯებული ხელები შეიმალა კაბის კალთაში.

— სიკვდილი!.. სიკვდილი სირცხვილი არ არი... ის შეწყვეტს ამ ტანჯვას, თან წაიღებს ასეთ დამცირება—გაწბილებას... „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი" ბევრჯელ გაუგონია ვაროს. თუმცა ეს სიკვდილი არ იქნება სახელოვანი, მაინც არ შემირცხვენს, არც წარსულ'ს და არც აწმყოს. ვარო მივიდა სარკმელთან. ნამქერი ისევ წინანდელზე მეტათ ურევდა. ჰაერში თეთრი სივრცის მეტი აღარა მოსჩანდა-რა.

— შენა ხარ ერთათ ერთი ღონე, რომელიც ამაცილებ ხალხის თვალსა და ყურს... დაილაპარაკა ვარომ ფიქრიანათ, თვალ-წინ წამოიყე͞ა იასონ და დარიკო... სახლი დაბალი იყო, სარკმელს კიდევაც მობჯენოდა თოვლის ზვინი—სპეტაკი თოვლი გაირღვევს გულს, მხურვალეთ მიიკრავს, შეახვევს თეთრ ფაფუკ კალთებში, გააყრუებს, დაავიწყებს ყველაფერს. ვაროს თვალებმა ამ დროს გაარჩიეს პატარა ქოხიდან ამომავალი კვამლი.

— ახლა იქ ბედნიერნი არიან, არ აოცებთ სიღარიბე, შეჭირვება, რადგან თავის დღეში მასში გამოკრჩიან, შრომობენ და ისე ეწევიან თავიანთ ცხოვრების უღელსა. ზაფხულში მოქანცულნი დღეს ისვენებენ, კიდევაც ახალისებთ ეს ფიფქი თოვლი, არა ნატრობენ სიკვდილს. შეყუჟულან უბრალოთ გატიხრულ ოთახში, თუმცა აქეთ-იქით დარაბებში შეზუზუნებთ ქარი, ყურსაც არ უგდებენ, დაუდვიათ დიდი სათარი და მთელი ჯალაბი შემოსხდომია დაგიზგიზებულ ცეცხლსა... თედო გაშურებით ჩირკნის ურმის იარაღს, სვიმონა კი სხვა-და-სხვა ზღაპრებით შეაქცევს მუნ მყოფთ, რომელნიც პირში მისჩერებიან. რა ბედნიერნი არიან!.. მერე რა მიზეზია? . ის რომ, ცხოვრების მიზანი აქეთ, მოვალეობას ემსახურებიან, ზრუნავენ ოჯახსა და ცოლ-შვილზე.

— ოხ, რა შემცდარი იყო დედა, როცა ჩამძახოდა: რაა საერთო შენსა და გაჭირებულ ღარიბს შორისო?.. ის სხვა ჰაერზე დაბადებულა, აღზრდილაო?.. ოხ, მშობლებო! წარმოთქვა ცრემლებ მორეულმა ვარომ... რა რიგათ უმნიშვნელოთ გაატარა ვარომ ცხოვრება!.. განა ბავშმა რა იცოდა, თუ რა იყო კარგი და ავი? შემყვნებელი არავინ გაუჩნდა, გზის მაჩვენებელი... ვაროს გაგიჟებით უყვარდა დედა თაფლო, რომელიც იმისი სარკე იყო... აკი დედ-მამასაც უყვარდათ?.. უყვარდათ და ასეთი ტანჯვა მიაყენეს?., მერე მათ რა აცოდენ, თუ შემდეგში რა იქნებოდა?.. რატომ არ შეაჩვიეს ვარო შრომას!.. თუმცა სწავლა მიიღო, მაინც უვარგისია, გამოუყენებელი!.. ვარო ჭკვიანურათ მოიქცა, რომ არ გათხოვდა... რისთვის გააჩინოს თავისთანავე უსარგებლო მაზარალებელი ულონო ბუზი!.. რა მადლობას შეუთვლის ქვეყანა თაფლოსა და სვიმონს ვაროს ასეთი აღზრდისათვის? ამის ბუნების დამახინჯებისთვის?

— ღმერთო, მაპატიე ჩემი შეცოდება!.. გულთამხილავო! ხომ იცი, რომ მე არა ვარ დამნაშავე?.. მიიღე ცოდვილი სული, შესწყვიტე ჩემი ასეთი წამება. ქალმა გამოაღო სარკმელი, ქარმა ოთახში ნამქერი შემოიტანა. ლამპარი ჩააქრო, ვაროს სიცივემ უფრო მწვავეთ დაუარა სხეულში.

— არა, მეტი ღონე არ არი!.. დაიჩურჩულა მან გალურჯებული ტუჩებით, თან ანჯამებს ხელი შეახო, მოეკიდა, ნელ-ნელა დაეშვა ძირს. ვაროს ფეხებში რბილათ მოხვდა თოვლი, იამა თითქო აქ უფრო თბილოდა. წუთს ნამქერმა შეუთეთრა ტანისამოსი, გადუშალა თეთრ საფლავს გული, შიგ ჩაესვენა. პირველში სული შეუგუბდა, წამოყელყელავდა, თითქო ეს არის ველარ იმეტებს თავს სასიკვდილოთ, კვლავ მოუნდა ისევ თავის ოთახში ყოფნა, მაგრამ, რა მოაგონდა ხვალინდელი დღე, ბიძა ძალუა მოღუშულის შუბლით, მკაცრათ მბრძანებელნი, კვლავ ისევ მოხუჭა თვალები, ძირს დაიწია...

— მეტი ღონე არ არი!.. დაიჩურჩულა სუსტათ, თავი მისცა უწყალო ხვედრსა. დიდი ხანი აღარ გამოსულა გათენებამდის. მეორე დღეს დიდ ძებნას შემდეგ გონება დაკარგული, გალურჯებული ვარო ძლივს ამოიყვანეს თოვლიდან, ბიძა-ძალუას სინიდისი გაღვიძებოდათ, დიდი მწუხარებით, მეცადინეობით ცდილობდენ ქალის გამობრუნებას. მსწრაფლ კაცი აფრინეს ექიმზედაც. ვარო გამობრუნდა, გაახილა თვალი და, როდესაც დაინახა თავისი თავი ბიძა-ძალუას ოთახში, მის პირ-და-პირ დიდი ცეცხლი ეგზნო, ძალუაც ჩალაპარაკობდა ალერსით. შეჰკრთა.

— ნუ თუ საშველი არ არის! ამოიკნავლა მან. რამდენმე საათს შემდეგ იგრძნო მწვავე სიცხე, გონება დაჰკარგა. ექიმმა აღმოაჩინა ფილტვების ანთება, რომელმაც სამი დღის უკან თოვლზე მომეტებულათ დაამშვიდა ვარო, საუკუნოთ მოასვენა.

ანასტ. ერისთავი.

## მგზავრის შენიშვნები.

(კახეთისაკენ *).

დილიჟანში ჩემს გარდა კიდევ ისხდენ: ერთი ცოტათ ქალარა შერთული, მაგრამ მხნე და წამოსადეგი აგებულობის მღვდელი და ორიც ჩვენში ალებ-მიმცემობის წარმომადგენელი, ძველი ჰაიასტანის გამდიდრებული შვილი. გზაში ალარავინ მოგვემატებია და საკმაოთ თავისუფლათ ვისხედით. იმ ვაჭრებს თბილისიდან იმ დღის „მშაკი“ და „Новое Обозрѣніе“ წამოეღოთ და კითხულობდენ. მე კიდე ვცადე ახლათ გამოსული „მოამბის“ გადათვალიერება, მაგრამ დილიჟანის საშინელი ქანაობა და სათვალეებიც მიშლიდა კითხვას, და თავი დავანებე, თუმცა ჩვენი ახალგაზდა ნიჭიერი ბელეტრისტის, შ. არაგვისპირელის ეტიუდი: „ღმერთო, რა დაგიშავე!?“, სადაც ქაბუკი მწირის საიდუმლო გრძნობა და სულიერი ტანჯვა დიდი ლირიზმითა და სიღრმით გამოუხატავს, დავათავე კი.

დილით, ცოტა არ იყოს, ზამთრის სუსხმა გვაგრძნობია თავისი ძალა. თბილისის მიდამო უხე-ტყეო, ტიტველა სერები და ცივ-გომბორის მთა თოვლს დაეფარა, მაგრამ სამგზავროთ კარგი ამინდი დაგვიდგა მაინც: მზე უფრო თან-და-თან გაბრწყინდა და სითბო დაიწყო. მე გავცქეროდი ტიტველა მთა-გორაკებს და მინდვრებს, რომელიც გაშლილიყო ჩემი თვალის წინ და რომელზედაც მიიმართება სიღნაღის და თუქურმიშისაკენ მიმავალი შარა-გზა. მიდამო არე-მარე, ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეებთან შედარებით, არ დაუსაჩუქრებია მუნებას უხვი წყალობით. ხე-ტყისა, სხვა რამ მცენარეულობისა და ჩრდილოების ნატამალიც გზაში თითქმის არ მოიძებნება. მხოლოთ ერთ ადგილს, მდინარე იორს ცოტათ გაცდებით თუ არა, არის ატეხილი ხშირი მუხნარი, სადაც მრავალ-გვარი ნადირი თურმე ბუდობს. გზაში შესანიშნავი ადგილი მხოლოთ ორია. ერთი სამგორის მინდორი, რომლის ბოლოს, მდ. იორის პირზე, მდებარეობს სოფ. სართი-ჭალა, სადაც სახლობენ მშრომელი და ბეჯითი ნემენცები და ჩვენი ქართველებიც. ამათი ცხოვრება, თუ არ ვცდები, ამ სამი წლის წინათ „ივერიაში“ დაწვრილებით იყო აწერილი. მეორე ადგილი კი თვითონ ივრის ხეობაა, რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მოჩანს სოფლები თავისი ვენახებითა და ხეხილებით.

საუცხოვო გასახედ-გამოსახედი ადგილია აზამბურის სერიდან, სადაც ცხოვრებენ მალაკნები. კაცის თვალს იტაცებს შორს გადაშლილი შვენიერი არე-მარე: სამხრეთით განუსაზღვრელი სივრცე ჰორიზონტისა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით საკმაოთ მაღალი მთები, რომელნიც ლაჟვარდ ცაში აყუდებულან. თვით აქაური ნიადაგი მიწისა შავია, არ არის მწირი და პურისა, ქერისა და ბოსტან-ბაღების მოსავალი დიდი იცის და კარგიც. ქართველები, ნემენცები, მალაკნები და თათრები იჯარით იღებენ ხოლმე აქაურ მიწა-წყალს და ამუშავებენ. აქა-იქ ფერდო ადგილები, სერების კალთები და მინდვრებიც, სართი-ჭალის ახლოს, არის დახნულ-დათესილი, რომელიც ირწყვის თხრილებში საგანგებოთ გაყვანილი ივრის წყლითა. ამ წყალმა ალაზანზე უკეთესი და გემრიელი თევზიც იცის. აქვეა ხიდთან გამართული წისქვილები და დუქნები, რომელთა მეპატრონენი ამ გარემოებით სარგებლობენ. საზოგადოთ, იორი ალაზანსავით ყოვლად უსარგებლო და გამოუყენებელი მდინერე არ არის. იორის წმინდა, ანკარა წყალს ჩქარი მიმდინარეობა აქვს და ალაზანივით ნელი და დაგუბებული არ არის. მდ. იორის მიდამოები და ხეობა მდიდარია პურით, ქერით, კომბოსტოთი, ჭარხლით, საზამთრო-ნესვით და სხვა ბოსტან-ბაღეულობით, რომელსაც გვარიანი ბაზარი აქვს თბილისში და სიღნახში.

— ვის ეკუთვნის ამდენი მიწა-წყალი, მამაო?—ზრდილობიანათ ერთი-მეორესთან გამოცნობას შემდეგ დავეკითხე მოძღვარს.

— მრავლის უმრავლესი სახელმწიფოა, მერე ნემენცების, მალაკნების, სომხების, მცირე ნაწილი კი ქართველებს ეკუთვნის.

— დიდი მოსავალი უნდა იცოდეს ამ მხარემ...

— დიახ, პურისა და ქერის მრავალი, მართლაც, დიდი იცის, როგორც მაგალითათ წელს იყო. მაგრამ ღვინის მოსავალში, ვერც თვისებითა და

*) იხ. „კვალი“ № 9.

ვერც რაოდენობით, ეს ქვეყანა წინა-მხარს *) ვერ შეედრება. სამწუხაროთ, წელს წინა-მხარსაც უმტყუნა ბედმა. ღვინის მოსავალი ისეთი მცირე იყო, რომ, ვისაც წინათ ათი საპალნე (კახეთში საპალნე—32 ჩაფია—48 ვედრა) მოდიოდა, იმან, არ დაიჯერებთ, ერთი საპალნე ძლივს-ღა დაწურა. თან ღვინოც საძაგელი თვისებისა დადგა. მთელ ვენახებს მოედო რაღაც ჭირი, ვგონებ, „მილდიუს" რომ ეძახიან, ის უნდა იყოს და უდროოთ გაუხმო და სულ ერთიანათ გააყრევინა ფოთოლი.

— მაგ ფოთოლის გაცვივნას კიდევ ის მოჰყვება, რომ ყურძენი აღარ მწიფდება, მზისაგან იწვის და ღვინოც საშინელი უგემური და მჟავე დგება. ობი (მილდიუ) თუ მოერია ვენახს, არა თუ ყურძნის მარცვლები, მთელი მტევნებიც გაცვივა ვაზსა და ზოგჯერ მთელი ვენახის მოსავალსაც იმსხვერპლებს. ამას გარდა, ობი თითონ ვაზსაც უსპობს სიცოცხლეს იმით, რომ რქას (ლირწი) აღარ ზრდის, ჩაგრავს, ფოთოლს ადრე უყვითლებს, მტევანს ისერიმათ გადაუქცევს და შემდეგ თან-და-თან ხმობასაც დაიწყებს. ვიდრე კახეთს ფილოქსერა არ სწვევია, კახელებმა უნდა მედგრათ ებრძოლონ მილდიუს და მიუცილებლათ ვენახებს უნდა უწამლონ...

— ეგ-ღა გვაკლდა! კახეთში ზედი-ზედ ამ სამი წლის განმაელობაში პურის საშინელი მოუსავლობა იყო და ახლა ამ უბედურებას ზედ დაერთო კიდევ წლევანდელი ღვინის მოუსავლობაც და, თქვენი მტერია, ხალხს გაუჭირდეს. ხალხის გაჭირვება კიდევ— განაგრძო ჩემმა თანამგზავრმა—დიდი ღლესასწაულია და ლხინი თითო-ოროლა შეძლებულთა, ჩარჩთა და წურბელათათვის, რომლებითაც, ყველაზე უფრო მთელს საქართველოში, წინათაც შეწუხებული იყო სიღნახის მაზრა და ახლა ხომ სულ უარესობაში ჩავარდება. ხალხის დიდი გაჭირვება შეძლებულს, მუქთს თუ არა, იაფ მუშა ხელს გაუჩენს, ჩარჩსა და წურბელას ზედ კარზე მიაყენებს გლეხსა, რომელმაც დიდი ხვეწნით, მუდარებით, დამცირებით და ღრეჯ თ, როგორმე მამასისხლათ, დიდი სარგებლის გამეტებით, მოინაცვლოს ხელი.

— მართლაც, გამიგონია და გადაჭრითაც ამბობენ, რომ სიღნაღელებს, რომელნიც ჩარჩობით და წურბელაობით გამდიდრებულან, თათქმის ერთი მესამედი მაზრა დასაკუთრებული აქვთო და მეორე მესამედიც კიდევ სესხით დამონებულიო.

— არა, ეგ კი, სწორეთ მოგახსენოთ, მეტისმეტია, მაგრამ ნამდვილზე, ცოტათ დაახლოვებით, სწორი გახლავთ და, აი, ჩვენც ამიტომ ვეწინაალმდეგებით ჩარჩებსა და წურბელებს, რომელთაც სულ ერთიანათ აიკლეს ჩვენი ქვეყანა.

ხომლელი.

(დასასრული იქნება)

*) ივრის ხეობას, ანუ მკვდებურ გარეთ კახეთს ეძახიან უკანა მხარს, ხოლო ალაზნის ხეობას, ანუ საკუთრივ შიგნით კახეთს—წინა-მხარს, რომელსაც მდ. ალაზანი ჰყოფს: გაღმა (ცხარლისაკენ) და გამოღმა მხარათ.

აგტ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა

პირველ მარტს ამოუვიდა მოგება მეორესა შინაო სესხის ბილეთებისა.

| სერია. | ბილ. | მოგება | სერია. | ბილ. | მოგება |
|---|---|---|---|---|---|
| 1257 | 34 | 200000 | 9048 | 50 | 1000 |
| 10446 | 49 | 75000 | 18078 | 10 | 1000 |
| 10658 | 21 | 40000 | 7392 | 36 | 1000 |
| 19387 | 46 | 25000 | 19449 | 26 | 1000 |
| 6140 | 30 | 10000 | 18809 | 16 | 1000 |
| 19456 | 42 | 10000 | 8464 | 92 | 1000 |
| 130 | 44 | 10000 | 18149 | 44 | 1000 |
| 10049 | 7 | 8000 | 19822 | 11 | 1000 |
| 8254 | 44 | 8000 | 4218 | 23 | 1000 |
| 7858 | 26 | 8000 | 6909 | 14 | 1000 |
| 11896 | 47 | 8000 | 6794 | 18 | 1000 |
| 13362 | 23 | 8000 | 8284 | 18 | 1000 |
| 18190 | 27 | 5000 | 5919 | 16 | 1000 |
| 13773 | 4 | 5000 | 18216 | 50 | 1000 |
| 17491 | 23 | 5000 | 19704 | 42 | 1000 |
| 1283 | 5 | 5000 | 1652 | 9 | 1000 |
| 17511 | 44 | 5000 | 8907 | 23 | 1000 |
| 19910 | 17 | 5000 | 5513 | 12 | 1000 |
| 16879 | 20 | 5000 | 13439 | 27 | 1000 |
| 9183 | 10 | 5000 | 10452 | 27 | 1000 |

Доз. ценз. Тифлисъ, 2 Марта 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცის Гол. пр., № 41